

# ეკატერინე გვარამია

## მესამე რიგის როტატაბელური გეგმების თვისებების კვლევა ექსპერიმენტის შეცდომების პირობებში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, 0175, საქართველო  
მაისი, 2012 წელი

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, ვადასტურებთ, რომ გავეცანით ეკატერინე გვარამიას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: “მესამე რიგის როტატაბელური გეგმების თვისებების კვლევა ექსპერიმენტის შეცდომების პირობებში” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

2012 წელი, 10 მაისი

ხელმძღვანელი: ტ.მ.დ., სრული პროფესორი  
ნინო ბერაია

---

რეცენზენტი: ტ.მ.კ., ასოც. პროფესორი  
რევაზ ჟვანია

---

რეცენზენტი: ტ.მ.კ., უფროსი მეცნიერ მუშაკი  
სოსო როგავა

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2012 წელი

ავტორი: ეკატერინე გვარამია  
დასახელება: მესამე რიგის როტატაბელური გეგმების  
თვისებების კვლევა ექსპერიმენტის შეცდომების  
პირობებში

ფაკულტეტი: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების  
ხარისხი: დოქტორი  
სხდომა ჩატარდა: 10 მაისი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით პირის გადაღებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიკურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

**კვლევის აქტუალობა.** ტექნიკური სისტემების მართვის ამოცანები ქვეამოცანების სახით შეიცავენ ადეკვატური მათემატიკური მოდელების მიღებას, აგრეთვე, სისტემის ფუნქციონირების ოპტიმალური პირობების ძიებას. ამ საკითხების გადაწყვეტისათვის ფართოდ გამოიყენება ექსპერიმენტის მათემატიკური დაგეგმვის მეთოდები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ სისტემის შესასწავლად საჭირო დროსა და დანახარჯებს, ამადლებენ კვლევის უტყუარობას, ახდენენ მკვლევარის შრომის გაინტენსიურებას, გვაძლევენ საშუალებას მივიღოთ შესასწავლი ფაქტორების ზემოქმედების რაოდენობრივი შეფასებები, მათემატიკური მოდელები, აგრეთვე, სისტემები ხარისხის მაღალი მახასიათებლებით.

ექსპერიმენტის დაგეგმვაში საკუთრივ ექსპერიმენტი განიხილება როგორც კვლევისა და ოპტიმიზაციის ობიექტი. შესასწავლი სისტემის შესახებ ინფორმაციის შესაბამისად ხორციელდება ექსპერიმენტის ოპტიმალური მართვა, კვლევის სტრატეგიის შეცვლა ყოველი ობიექტისათვის ოპტიმალური სტრატეგიის არჩევით.

თუმცა, რეალობაში გეგმების ოპტიმალურობის მახასიათებლები მახინჯდება. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ოპტიმალური გეგმების რეალიზაცია საჭიროებს გამოსაკვლევ ფაქტორების ზუსტი დონეების დაყენებას, დაყენება კი ხორციელდება საზომი საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული ცდომილებებით.

რაც უფრო მეტია გაზომვის საშუალებების ცდომილებები გამოსაკვლევ ფაქტორების დონეების დაყენებისას, მით უფრო მეტად ირღვევა ოპტიმალურობის მახასიათებლები. ამიტომ გარკვეულ ინტერესს ბადებს გეგმის ამა თუ იმ თვისებებზე გაზომვის საშუალებების ცდომილებების გავლენის გამოკვლევა.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანი.** წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია მესამე რიგის კომპოზიციური სიმეტრიული და ეკონომიური როტატაბელური გეგმების კვლევა ორი და სამი ფაქტორის შემთხვევაში გაზომვის საშუალებათა ცდომილებების გათვალისწინებით; ამ გეგმების შედარებითი ანალიზი ექსპერიმენტის შეცდომების პირობებში.

**ძირითადი ამოცანები.** ზემოჩამოყალიბებული მიზნების შესასრულებლად სამუშაო ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას: ალგორითმის და შესაბამისი პროგრამების დამუშავებას Matlab-ში იმისათვის, რომ მოხდეს საკვლევ გეგმების კოორდინატებზე ცდომილებების ზედდების იმიტაცია; საზომი საშუალებებისათვის დამახასიათებელი ცდომილებების გავლენისას მესამე რიგის კომპოზიციური როტატაბელური გეგმების თვისებების ცვლილების გამოკვლევას; ექსპერიმენტის შეცდომების შემთხვევაში ყველა საკვლევ გეგმისათვის თითოეული თვისების გაუარესების ხარისხის განსაზღვრას; ორი და სამი ცვლადის შემცველი მესამე რიგის დეფორმირებული როტატაბელური გეგმების შედარებით ანალიზს.

**ძირითადი პრაქტიკული ღირებულება და გამოყენებითი ასპექტი:** ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:



1. მესამე რიგის როტატაბელური გეგმების თვისებების შესასწავლად დამუშავებულია ალგორითმები და დაწერილია შესაბამისი პროგრამები Matlab-ში.

2. დეტალურად არის შესწავლილი ორი ცვლადის შემცველი მესამე რიგის კომპოზიციური სიმეტრიული და ეკონომიური როტატაბელური გეგმების  $D$ -,  $A$ -,  $E$ -,  $G$ -,  $Q$ - ოპტიმალურობის და ორთოგონალურობის თვისებები საზომი საშუალებების სხვადასხვა ცდომილებების გათვალისწინებით.

3. ექსპერიმენტის სხვადასხვა შეცდომის შემთხვევაში გამოკვლეულია სამი ცვლადის შემცველი მესამე რიგის კომპოზიციური როტატაბელური გეგმების თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების შეფასების სიზუსტესთან, ასევე მიღებული მოდელის დახმარებით გამოძახილის მნიშვნელობების წინასწარმეტყველების სიზუსტესთან.

4. მეორე ჯგუფის კრიტერიუმებზე საზომი საშუალებების ცდომილებების გავლენის შესწავლისას მიღებულია რეზულტატები სხვადასხვა სიდიდის კვადრატის და კუბის მქონე სხვადასხვა საკვლევი არისათვის.

5. ცდომილებების გავლენის შესწავლისას მესამე რიგის როტატაბელურ გეგმის თითოეულ გამოსაკვლევ თვისებაზე განისაზღვრება კრიტერიუმების მნიშვნელობების ზედა და ქვედა საზღვრები, რის შედეგადაც მივიღეთ თვისებების გაბნევის კორიდორი.

6. მოყვანილია შედარებითი ანალიზი ორი ცვლადის შემცველი მესამე რიგის სიმეტრიული თექვსმეტწერტილიანი და ეკონომიური თორმეტწერტილიანი როტატაბელური გეგმებისათვის.

7. წარმოდგენილია მონაცემები სამი ცვლადის შემცველი მესამე რიგის რვა როტატაბელური გეგმის შედარებითი ანალიზის შესახებ.

8. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ექსპერიმენტატორს აძლევს საშუალებას შეაფასოს როტატაბელური გეგმების თვისებების გაუარესების ხარისხი, რომლებიც დაკავშირებულია როგორც შესაბამისი რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების შეფასების სიზუსტესთან, ასევე აგებული მოდელის მეშვეობით გამოძახილის მნიშვნელობების წინასწარმეტყველების სიზუსტესთან.

*ჩატარებული სამუშაოს პრაქტიკული ღირებულება ისაა, რომ იგი მოიცავს ექსპერიმენტატორისათვის განკუთვნილ საჭირო მონაცემებს, მეთოდოლოგიას და რეკომენდაციებს. იგი უნდა დაეხმაროს მას ორი და სამი ცვლადის შემცველი მესამე რიგის როტატაბელურ გეგმებთან მუშაობაში სხვადასხვა საზომი საშუალებების გამოყენებით, რომელთაც ახასიათებს სხვადასხვა ცდომილებები, ასევე ოპტიმალური გეგმების ფაქტორების დონეების დაყენებაში.*

## Abstract

**Topicality of the research.** Tasks of management of engineering systems include creation of appropriate mathematical models and research of optimal conditions for system operation. Methods of mathematical planning of experiment are widely used for carrying out these tasks.

In practice, specifications of optimal plans are distorted. Realization of optimal plans requires assignment of precise levels of researched parameters. Assignment is made by means of measuring devices which are characterized by certain inaccuracy.

When levels of researched parameters are assigned, higher inaccuracy of measuring devices conditions higher distortion of specifications of optimality. Therefore, research of impact of inaccuracies of measuring devices upon certain characteristics of plan is interesting.

**The main aim of the dissertation.** The objective of presented dissertation is to research third-rank, compositional, symmetrical, economical and rotatability plans in the case of two and three factors taking into consideration inaccuracies of measuring devices.

The practical value of the work is that it includes necessary data, techniques and recommendations.

**The main objectives.** The main objectives include development of algorithm and corresponding program in Matlab for imitation of overlap of inaccuracies on coordinates of researched plans; for studying of changes of different characteristics of third-rank compositional rotatability plans under the influence of specifications of inaccuracies of measuring devices; for determination of level of degradation of characteristics of researched plans in consideration of the errors of experiment; for comparative analysis of third-rank, deformed, rotatability plans with two and three variables.

**The main value of practical and applied aspects:**

1. Algorithms and corresponding programs of Matlab are developed for studying the changes of characteristics of third-rank rotatability plans

2. Specifications of D-, A-, E-, G-, Q-optimality and orthogonality, of third-rank compositional, symmetrical and economical rotatability plans with two variables are studied details in consideration of different inaccuracies of measuring devices

3. Characteristics of third-rank compositional rotatability plans are studied for three variables. Study is linked to precise determination of regression coefficients and precise prediction of values of response by means of derived model with different errors of experiment.

4. The influence of inaccuracies of measuring devices on criteria of second group is studied and the results are derived in different fields as cubes and squares of different size.

5. On the basis of studies of influence of inaccuracies on each specification of third-rank rotatability plan, limits of corresponding values of criteria are determined and therefore, corridors of dissipation of characteristics are derived.

6. Comparative analysis is made for symmetrical 16-point and economical 12-point rotatability plans with two variables.

7. Data of comparative analysis of eight third-rank rotatability plans with three variables is given

8. The results of study enable experimenter to estimate levels of degradation of specifications of rotatability plans, which are linked to precision of estimation of

coefficients of corresponding equation of regression and to precision of predictions of values of response with constructed model.

**The practical value of the work lies.** The practical value of the work is that it includes necessary data, techniques and recommendations for experimenters. They must help experimenters in the work with third-rank rotatability plans with two and three variables, when they assign levels of parameters of optimal plans by means of measuring devices with different inaccuracies.

შინაარსი

თავი 1. ექსპერიმენტის კომპოზიციური დაგეგმვის თანამედროვე მდგომარეობის ლიტერატურული მიმოხილვა ..... 20

თავი 2. ექსპერიმენტის შეცდომის არსებობის შემთხვევაში მესამე რიგის ორცვლადიანი როტატაბელური გეგმების თვისებების გამოკვლევა ..... 31

2.1. ორცვლადიანი მესამე რიგის კომპოზიციური სიმეტრიული, როტატაბელურთან მიახლოებული გეგმების გამოკვლევა ..... 31

2.1.1. სიმეტრიული გეგმების თვისებების გამოკვლევა, რომლებიც დაკავშირებულია რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების შეფასების სიზუსტესთან ..... 33

2.1.2. გამოძახილის მნიშვნელობების ნაწინასწარმეტყველები სიზუსტით დაკავშირებული სიმეტრიული გეგმების თვისებების გამოკვლევა ..... 43

2.2. ორცვლადიანი მესამე რიგის ეკონომიური კომპოზიციური როტატაბელურთან მიახლოებული გეგმების გამოკვლევა ..... 52

2.2.1. ეკონომიური გეგმების თვისებების გამოკვლევა, რომლებიც დაკავშირებულია რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების შეფასების სიზუსტესთან ..... 53

2.2.2. გამოძახილის მნიშვნელობების ნაწინასწარმეტყველები სიზუსტით დაკავშირებული სიმეტრიული გეგმების თვისებების გამოკვლევა ..... 62

2.3. გაზომვის საშუალებების ცდომილებების არსებობისას ორი ცვლადის შემცველი მესამე რიგის როტატაბელური გეგმების თვისებების გაუარესების შედარებითი ანალიზი..... 70

თავი 3. ექსპერიმენტის შეცდომის არსებობის შემთხვევაში მესამე რიგის სამცვლადიანი როტატაბელური გეგმების თვისებების გამოკვლევა ..... 72

3.1.  $D_1D_4$  (I) სამცვლადიანი მესამე რიგის სიმეტრიული როტატაბელური გეგმების გამოკვლევა ..... 73

3.1.1.  $D_1D_4$ (I) გეგმის თვისებების გამოკვლევა, რომლებიც დაკავშირებულია რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების შეფასების სიზუსტესთან ..... 74

3.1.2. გამოძახილის მნიშვნელობების წინასწარმეტყველების სიზუსტესთან დაკავშირებული  $D_1D_4$  (I) გეგმების თვისებების გამოკვლევა ..... 80

3.2.  $D_2D_3$  (II) სამცვლადიანი მესამე რიგის სიმეტრიული როტატაბელური გეგმების გამოკვლევა ..... 85

3.2.1.  $D_2D_3$  (II) გეგმის თვისებების გამოკვლევა, რომლებიც დაკავშირებულია რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების შეფასების სიზუსტესთან ..... 86



თვისებების გამოკვლევა .....	146
3.8. $D_3D_6$ (VIII) სამცვლადიანი მესამე რიგის სიმეტრიული როტატაბელური გეგმების გამოკვლევა .....	151
3.8.1. $D_3D_6$ (VIII) გეგმის თვისებების გამოკვლევა, რომლებიც დაკავშირებულია რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების შეფასების სიზუსტესთან .....	152
3.8.2. გამოძახილის მნიშვნელობების წინასწარმეტყველების სიზუსტესთან დაკავშირებული $D_3D_6$ (VIII) გეგმების თვისებების გამოკვლევა .....	157
3.9. გაზომვის საშუალებების ცდომილებების არსებობისას სამი ცვლადის შემცველი მესამე რიგის როტატაბელური გეგმების თვისებების გაუარესების შედარებითი ანალიზი.....	162
ძირითადი დასკვნები .....	164
ლიტერატურა .....	166













<b>ცხრილი 3.59.</b> სამცვლადიანი მესამე რიგის $D_3D_6(VIII)$ გეგმებისთვის უმცირესი მაქსიმალური მახასიათებელი რიცხვის ცვლილება ცლომილებების ზედდებისას .....	154
<b>ცხრილი 3.60.</b> სამცვლადიანი მესამე რიგის $D_3D_5(V)$ გეგმებისთვის კოვარიაციული მატრიცის არადიაგონალური ელემენტების აბსოლუტური მნიშვნელობების ჯამების მინიმუმების ცვლილება ცლომილებების ზედდებისას.....	156
<b>ცხრილი 3.61.</b> $D_3D_6(VIII)$ გეგმებისთვის წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმუმის ცვლილება კუბის ფორმის მქონე $\mathbf{z}$ საკვლევე არეში ზომით $0.5 \times 0.5 \times 0.5$ .....	158
<b>ცხრილი 3.62.</b> $D_3D_6(VIII)$ გეგმებისთვის წინასწარმეტყველების მაქსიმალური დისპერსიის მინიმუმის ცვლილება კუბის ფორმის მქონე $\mathbf{z}$ საკვლევე არეში ზომით $1.5 \times 1.5 \times 1.5$ .....	159
<b>ცხრილი 3.63.</b> $D_3D_6(VIII)$ გეგმებისთვის წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის ცვლილება კუბის ფორმის მქონე $\mathbf{z}$ საკვლევე არეში ზომით $0.5 \times 0.5 \times 0.5$ .....	161
<b>ცხრილი 3.64.</b> $D_3D_6(VIII)$ გეგმებისთვის წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიის ცვლილება კუბის ფორმის მქონე $\mathbf{z}$ საკვლევე არეში ზომით $1.5 \times 1.5 \times 1.5$ .....	161
<b>ცხრილი 3.65.</b> სამი ცვლადის შემცველი მესამე რიგის სამფაქტორიანი როტატაბელური გეგმების მახასიათებლების გაუარესება, %.....	163

## ნახაზების ნუსხა

ნახ.1.1. მესამე რიგის კომპოზიციური გეგმის გეომეტრიული ილუსტრაცია.....	22
ნახ.1.2. მესამე რიგის კომპოზიციური გეგმის გეომეტრიული ილუსტრაცია.....	24
ნახ.1.3. არადეფორმირებულ (ა) და დეფორმირებულ (ბ) გეგმებში პირველი რიგის გეგმის წერტილების კოორდინატები.....	29
ნახ.2.1. ორცვლადიანი მესამე რიგის მრავალდეფორმირებული სიმეტრიული კომპოზიციური გეგმების გრაფიკული ილუსტრაცია.....	31
ნახ.2.2. მესამე რიგის თექვსმეტწერტილიანი გეგმის $D$ -ოპტიმალურობა, როცა $a=0.5$ .....	33
ნახ.2.3. მესამე რიგის თექვსმეტწერტილიანი გეგმის $A$ -ოპტიმალურობა, როცა $a=0.5$ .....	35
ნახ.2.4. მესამე რიგის თექვსმეტწერტილიანი გეგმის $E$ -ოპტიმალურობა, როცა $a=0.5$ .....	37
ნახ.2.5. მესამე რიგის თექვსმეტწერტილიანი გეგმის ორთოგონალურობა, როცა $a=0.5$ .....	40
ნახ.2.6. საკვლევი არის სკანირების პრინციპი ა) სექტორის და ბ) კვადრატის შემთხვევაში.....	43
ნახ.2.7. ორცვლადიანი მესამე რიგის მრავალდეფორმირებული ეკონომიური სიმეტრიული კომპოზიციური გეგმების გრაფიკული ილუსტრაცია.....	51
ნახ.2.8. მესამე რიგის თორმეტწერტილიანი გეგმის $D$ -ოპტიმალურობა, როცა $a=0.5$ .....	52
ნახ.2.9. მესამე რიგის თორმეტწერტილიანი გეგმის $A$ -ოპტიმალურობა, როცა $a=0.5$ .....	55
ნახ.2.10. მესამე რიგის თორმეტწერტილიანი გეგმის $E$ -ოპტიმალურობა, როცა $a=0.5$ .....	57
ნახ.2.11. მესამე რიგის თორმეტწერტილიანი გეგმის ორთოგონალურობა, როცა $a=0.5$ .....	60
ნახ.3.1. გრაფიკული ილუსტრაცია ა) სამი ცვლადის შემცველი მესამე რიგის არადეფორმირებული კომპოზიციური როტატაბელური გეგმებისათვის; ბ) სამი ცვლადის შემცველი მესამე რიგის დეფორმირებული კომპოზიციური როტატაბელური გეგმების სიმრავლეებისთვის.....	73
ნახ.3.2. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_1D_4$ (I) გეგმის $D$ -ოპტიმალურობა.....	75
ნახ.3.3. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_1D_4$ (I) გეგმის $A$ -ოპტიმალურობა.....	76
ნახ.3.4. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_1D_4$ (I) გეგმის $E$ -ოპტიმალურობა.....	77
ნახ.3.5. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_1D_4$ (I) გეგმის ორთოგონალურობა.....	79
ნახ.3.6. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_1D_4$ (I) გეგმის $G$ -ოპტიმალურობა კუბის ფორმის საკვლევი არისათვის ზომით $0.5 \times 0.5 \times 0.5$ .....	80
ნახ.3.7. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_1D_4$ (I) გეგმის $G$ -ოპტიმალურობა კუბის ფორმის საკვლევი არისათვის ზომით $1.5 \times 1.5 \times 1.5$ .....	82
ნახ.3.8. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_1D_4$ (I) გეგმის $Q$ -ოპტიმალურობა კუბის ფორმის საკვლევი არისათვის ზომით $0.5 \times 0.5 \times 0.5$ .....	83
ნახ.3.9. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_1D_4$ (I) გეგმის $Q$ -ოპტიმალურობა კუბის ფორმის საკვლევი არისათვის ზომით $1.5 \times 1.5 \times 1.5$ .....	83
ნახ.3.10. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_2D_3$ (II) გეგმის $D$ -ოპტიმალურობა.....	86
ნახ.3.11. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_2D_3$ (II) გეგმის $A$ -ოპტიმალურობა.....	88
ნახ.3.12. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_2D_3$ (II) გეგმის $E$ -ოპტიმალურობა.....	89
ნახ.3.13. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_2D_3$ (II) გეგმის ორთოგონალურობა.....	90
ნახ.3.14. სამცვლადიანი მესამე რიგის $D_2D_3$ (II) გეგმის $G$ -ოპტიმალურობა კუბის ფორმის საკვლევი არისათვის ზომით $0.5 \times 0.5 \times 0.5$ .....	92





## თ ა ვ ი 1. ექსპერიმენტის კომპოზიციური დაგეგმვის თანამედროვე მდგომარეობის ლიტერატურული მიმოხილვა

თანამედროვე ტექნიკის განვითარება უშუალოდ არის დამოკიდებული არსებულის დახვეწასა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნასთან. მათი დამუშავების და ოპტიმიზაციის საფუძველს წარმოადგენს ექსპერიმენტი. ექსპერიმენტული კვლევების და ინჟინრული გადაწყვეტილებების ეფექტურობის ზრდა წარმოუდგენელია ექსპერიმენტის დაგეგმვის მათემატიკური მეთოდის გარეშე.

ექსპერიმენტის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების აღმოცენება დაკავშირებულია რ. ფიშერის შრომებთან. 1935 წელს გამოვიდა ფიშერის მონოგრაფია ექსპერიმენტის დაგეგმვის შესახებ “The Design of Experiments” [1], რამაც მისცა სახელი მთელ მიმართულებას. ამ ნაშრომით საფუძველი დაედო ექსპერიმენტის დაგეგმვის მეთოდებს.

ექსპერიმენტის ფაქტორული დაგეგმვის მეთოდმა ფართო გამოყენება ჰპოვა მას შემდეგ, რაც იეიტრმა დაამუშავა მარტივი გამომთვლელი სქემა ამ მეთოდისათვის, ფინნმა შემოიყვანა ფაქტორული ექსპერიმენტიდან წილადური რეპლიკის განაყოფის გამოძახილები [2] და პლეკეტმა და ბერმენმა შემოიტანეს გაჯერებული ფაქტორული გეგმები [3].

ექსპერიმენტის დაგეგმვის განვითარების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს 1951 წელს უილსონის და ბოქსის მიერ გაწეული შრომა [4], სადაც განხილულია მრავალფაქტორული ექსპერიმენტული ამოცანების კვლევის მეთოდოლოგია. ამ ნაშრომმა გარკვეულწილად შეაჯამა მანამდე ჩატარებული სამუშაოები. მასში ნათლადაა ჩამოყალიბებული და გადმოცემული პრაქტიკული რეკომენდაციების დონეზე ოპტიმალური პირობების თანმიმდევრობითი ექსპერიმენტული განსაზღვრის იდეა.

1959 წელს ყალიბდება კიფერის კონცეფცია ერთობლივი ეფექტური შეფასებების შესახებ [5]. ამ მიდგომაში ეფექტურობა განპირობებულია როგორც წერტილების განლაგებით დამოუკიდებელი ცვლადების სივრცეში, ასევე დაკვირვების შედეგების დამუშავების ოპტიმალური საშუალებებით [6-13].



ექსპერიმენტის დაგეგმვის მეთოდები წარმატებით ვითარდებოდა ისეთი მეცნიერების შრომებში, როგორებიც იყვნენ: ვ.ვ. ნადიმოვი [14, 15], ი.პ. ადლერი [16, 17, 18], გ.კ. კრუგი [19, 20], ე.ვ. მარკოვა [21], ვ.ზ. ბროდსკი [22], ვ.გ. გორკი [23], ვ.ი. დენისოვი [24], ფ.ს. ნოვიკი [25], ვ.ვ. ფედოსოვი [26], ი.გ. ზედგინიძე [27], ვ.ი. ასატურიანი [28].

ექსპერიმენტის დაგეგმვაში საკუთრივ ექსპერიმენტი განიხილება როგორც ოპტიმიზაციის და კვლევის ობიექტი. შესასწავლი ობიექტის შესახებ ინფორმაციიდან გამომდინარე ხდება მისი შემოყვანა, ხორციელდება მისი ოპტიმალური მართვა. კონკრეტული შემთხვევისათვის ხდება კვლევის სტრატეგიის ცვლა ოპტიმალური სტრატეგიის მიგნებამდე. ყველაზე დიდი გამოყენება ჰპოვა ექსპერიმენტის კომპოზიციურმა გეგმებმა, სადაც შედარებით მაღალი რიგის გეგმის ასაგებად გამოიყენება დაბალი რიგის გეგმის წერტილები [29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36].

წინა მდებარე სამუშაოს მიზანია ორი და სამი ცვლადის შემცველი მესამე რიგის კომპოზიციური როტატაბელური გეგმების გამოკვლევა გაზომვის საშუალებების ცდომილებების გათვალისწინებით, რომელიც გამოიყენება ფაქტორების დონეების დაყენებისას გეგმის შესაბამისად.

გეგმას ეწოდება როტატაბელური (ინგლისური სიტყვიდან *rotatable*, რაც ნიშნავს ბრუნვის უნარის მქონეს), თუ რეგრესიული ფუნქციის დისპერსიის შეფარდება დამოკიდებულია მხოლოდ ექსპერიმენტის ცენტრიდან მანძილზე და არ არის დამოკიდებული მიმართულებაზე. ასეთი გეგმა საშუალებას იძლევა მივიღოთ ერთნაირი ნაწინასწარმეტყველები სიზუსტე ყველა იმ წერტილისათვის, რომელიც თანაბრადაა დაშორებული ცენტრიდან.

$$\sigma^2\{\hat{y}\} = \sigma^2\{y\}N^{-1}d(\mathbf{x}, \boldsymbol{\varepsilon}) = \sigma^2\{y\}N^{-1}\mathbf{f}^T(\mathbf{x})\mathbf{A}^{-1}(\boldsymbol{\varepsilon})\mathbf{f}(\mathbf{x}) = const \quad (1.1)$$

როცა 
$$\rho^2 = \sum_{i=1}^k \tilde{x}_i^2 = const,$$

სადაც 
$$d(\mathbf{x}, \boldsymbol{\varepsilon}) = \mathbf{f}^T(\mathbf{x})\mathbf{A}^{-1}(\boldsymbol{\varepsilon})\mathbf{f}(\mathbf{x}),$$

$$\mathbf{f}^T(\mathbf{x}) = \left[ 1, \tilde{x}_1, \dots, \tilde{x}_k, \tilde{x}_1^2, \dots, \tilde{x}_k^2, \tilde{x}_1\tilde{x}_2, \dots, \tilde{x}_{k-1}\tilde{x}_k \right],$$

$$\mathbf{A}(\boldsymbol{\varepsilon}) = \frac{\mathbf{M}(\boldsymbol{\varepsilon})}{N} = \frac{\tilde{\mathbf{X}}^T\tilde{\mathbf{X}}}{N} \quad \text{და } \tilde{\mathbf{X}} - \text{დაგეგმვის მატრიცა.}$$

როგორც დისპერსიას, ასევე ინფორმაციას, რომელსაც შეიცავს რეგრესიის განტოლება (ინფორმაციის საზომად მიიღება სიდიდე ფაქტორული სივრცის ყველა ეკვიდისტრანციური წერტილისათვის, როტატაბელურ გეგმებში) აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა, ამიტომ ინფორმაციული კონტურები - მრუდები (ორი განზომილებისათვის) და ზედაპირები (უფრო მეტი განზომილებისათვის) შესაბამისად ტოლი ინფორმაციისათვის წარმოადგენენ კონცენტრულ სიმრგვალებებს ან სფერულ ზედაპირებს [37, 38, 39, 40].

მესამე რიგის კომპოზიციურ როტატაბელურ გეგმებში ორი ცვლადისათვის თავდაპირველად რეალიზდება  $\mathbf{D}_1$  გეგმის ის ნაწილი, რომლის ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზეც ხდება საკვლევი პროცესის აღწერა მეორე რიგის პოლინომის მეშვეობით. მაგალითად, ავიღოთ მეორე რიგის როტატაბელური გეგმა:


$$\mathbf{D}_1 = \begin{bmatrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 \\ -1 & -1 \\ -1 & +1 \\ +1 & -1 \\ +1 & +1 \\ -\sqrt{2} & 0 \\ +\sqrt{2} & 0 \\ 0 & -\sqrt{2} \\ 0 & +\sqrt{2} \end{bmatrix}. \quad (1.2)$$

მხოლოდ მისი არაადეკვატურობის შემთხვევაში იმისთვის, რომ შეფასდეს მესამე რიგის პოლინომის ყველა (ათი) კოეფიციენტი, მას ემატება გეგმის მეორე ნაწილი, რომელიც ავსებს პირველს სიმეტრიულად განლაგებული წერტილებით. პოლინომს აქვს შემდეგი სახე:

$$\hat{y} = b_0 + b_1\tilde{x}_1 + b_2\tilde{x}_2 + b_{11}\tilde{x}_1^2 + b_{22}\tilde{x}_2^2 + b_{12}\tilde{x}_1\tilde{x}_2 + b_{111}\tilde{x}_1^3 + b_{222}\tilde{x}_2^3 + b_{122}\tilde{x}_1\tilde{x}_2^2 + b_{112}\tilde{x}_1^2\tilde{x}_2. \quad (1.3)$$

მეორე ნაწილი აგრეთვე წარმოდგენილია მეორე რიგის გეგმის სახით, რომლის ცენტრიც ემთხვევა პირველი ნაწილის ცენტრს (ნახ. 1.1), სადაც ოთხი წერტილი (O) კოორდინატებით  $(\pm a, \pm a)$  განლაგებულია კვადრატის წვეროებში  $2a$ -ს მხრიდან, ოთხი აქსიალური - ე.წ. ვარსკვლავური წერტილი (⊗), განლაგებულია წყვილ-წყვილად საკოორდინატო ღერძების გასწვრივ და დაშორებულია ცენტრიდან შესაბამისად  $\alpha_1 = \pm ha$  და  $\alpha_2 = \pm ha$  მანძილებით.  $h$  წარმოადგენს მასშტაბურ მამრავლს, რომელიც განსაზღვრავს

აქსიალური წერტილის დაშორებას ახალი კვადრატის მხრიდან. განსახილველი სიმეტრიული კომპოზიციური გეგმებისათვის  $\alpha_1=\alpha_2=\alpha$ .



$$\mathbf{D}_2 = \begin{bmatrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 \\ -a & -a \\ -a & +a \\ +a & -a \\ +a & +a \\ -ha & 0 \\ +ha & 0 \\ 0 & -ha \\ 0 & +ha \end{bmatrix}, \quad (1.4)$$

ნახ. 1.1 მესამე რიგის კომპოზიციური გეგმის გეომეტრიული ილუსტრაცია

რადგანაც როტატაბელურ გეგმებში დისპერსიას  $\sigma^2\{y\}$  გააჩნია ერთი და იგივე მნიშვნელობა ფაქტორული არის ყველა კვადრატული წერტილისათვის, ინფორმაციული კონტურები უნდა წარმოადგენდნენ კონცენტრულ წრეწირებს. მისი მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ მასშტაბური მამრავლი ტოლი იქნება  $\sqrt{2}$ -ის.

ამრიგად, საკვლევ მესამე რიგის კომპოზიციურ გეგმას ორი ცვლადისათვის აქვს შემდეგი სახე:

$$\mathbf{D} = \begin{bmatrix} \mathbf{D}_1 \\ \mathbf{D}_2 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 \\ -1 & -1 \\ -1 & +1 \\ +1 & -1 \\ +1 & +1 \\ -\sqrt{2} & 0 \\ +\sqrt{2} & 0 \\ 0 & -\sqrt{2} \\ 0 & +\sqrt{2} \\ -a & -a \\ -a & +a \\ +a & -a \\ +a & +a \\ -\sqrt{2}a & 0 \\ +\sqrt{2}a & 0 \\ 0 & -\sqrt{2}a \\ 0 & +\sqrt{2}a \end{bmatrix}, \quad (1.5)$$

გეგმის ისეთი თვისებები, როგორცაა  $D$ -,  $A$ -,  $E$ -ოპტიმალურობა და ორთოგონალურობა, ერთმანეთთან დაკავშირებულია რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების შეფასების სიზუსტით, რომლებიც განისაზღვრება მატრიცულ ფორმაში ჩაწერილი შემდეგი გამოსახულებით


$$\mathbf{B} = (\tilde{\mathbf{X}}^T \tilde{\mathbf{X}})^{-1} \tilde{\mathbf{X}}^T \mathbf{Y}, \quad (1.6)$$

სადაც  $\tilde{\mathbf{X}}^T \tilde{\mathbf{X}}$  წარმოადგენს ფიშერის ინფორმაციულ მატრიცას,  $(\tilde{\mathbf{X}}^T \tilde{\mathbf{X}})^{-1}$  – კოვარიაციულ მატრიცას, ხოლო  $\tilde{\mathbf{X}}$  – დაგეგმვის მატრიცას, რომელიც მიიღება საკვლევი სიმეტრიული გეგმის გაფართოებით შესაბამისი სვეტებით, რაც განსაზღვრავს მესამე რიგის პოლინომის (1.3) ყველა კოეფიციენტს. მას გააჩნია შემდეგი სახე:

$$\tilde{\mathbf{X}} = \begin{bmatrix} \tilde{x}_0 & \tilde{x}_1^2 & \tilde{x}_2^2 & \tilde{x}_1 \tilde{x}_2 & \tilde{x}_1 & \tilde{x}_1^3 & \tilde{x}_1 \tilde{x}_2^2 & \tilde{x}_2 & \tilde{x}_2^3 & \tilde{x}_2 \tilde{x}_1^2 \\ 1 & 1 & 1 & +1 & -1 & -1 & -1 & -1 & -1 & -1 \\ 1 & 1 & 1 & -1 & -1 & -1 & -1 & +1 & +1 & +1 \\ 1 & 1 & 1 & -1 & +1 & +1 & +1 & -1 & -1 & -1 \\ 1 & 1 & 1 & +1 & +1 & +1 & +1 & +1 & +1 & +1 \\ 1 & 2 & 0 & 0 & -\sqrt{2} & (-\sqrt{2})^3 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 2 & 0 & 0 & +\sqrt{2} & (+\sqrt{2})^3 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 2 & 0 & 0 & 0 & 0 & -\sqrt{2} & (-\sqrt{2})^3 & 0 \\ 1 & 0 & 2 & 0 & 0 & 0 & 0 & +\sqrt{2} & (+\sqrt{2})^3 & 0 \\ \hline 1 & a^2 & a^2 & a^2 & -a & -a^3 & -a^3 & -a & -a^3 & -a^3 \\ 1 & a^2 & a^2 & -a^2 & -a & -a^3 & -a^3 & +a & +a^3 & +a^3 \\ 1 & a^2 & a^2 & -a^2 & +a & +a^3 & +a^3 & -a & -a^3 & -a^3 \\ 1 & a^2 & a^2 & a^2 & +a & +a^3 & +a^3 & +a & +a^3 & +a^3 \\ 1 & 2a^2 & 0 & 0 & -\sqrt{2}a & (-\sqrt{2})^3 a^3 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 2a^2 & 0 & 0 & +\sqrt{2}a & (+\sqrt{2})^3 a^3 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 2a^2 & 0 & 0 & 0 & 0 & -\sqrt{2}a & (-\sqrt{2})^3 a^3 & 0 \\ 1 & 0 & 2a^2 & 0 & 0 & 0 & 0 & +\sqrt{2}a & (+\sqrt{2})^3 a^3 & 0 \end{bmatrix}, \quad (1.7)$$

ვინაიდან ორი ცვლადისათვის მესამე რიგის (1.3) მოდელში შესაფასებელი კოეფიციენტების რაოდენობა (10) გაცილებით ნაკლებია ცდების რაოდენობაზე ( $N=16$ ), გეგმა არაა გაჯერებული და ტყუილუბრალოდ იხარჯება ცდების დიდი რაოდენობა. ამიტომ ამ ქვეთავში განხილულია უფრო ეკონომიური მესამე რიგის კომპოზიციური სიმეტრიული გეგმა ორი ცვლადისათვის.

ამ გეგმაში ბოქსის მეორე რიგის როტატაბელური გეგმის ერთ წრეწირზე განლაგებულ რვა წერტილს ემატება ოთხი წერტილი კვადრატის წვეროებში კოორდინატებით  $\pm a$  (ნახ.1.2).



ნახ. 1.2. მესამე რიგის კომპოზიციური გეგმის გეომეტრიული ილუსტრაცია

ამრიგად, საკვლევ მესამე რიგის ეკონომიკურ კომპოზიციურ გეგმას ორი ცვლადისათვის აქვს შემდეგი სახე:

$$\mathbf{D} = \begin{bmatrix} \mathbf{D}_1 \\ \mathbf{D}_2 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 \\ -1 & -1 \\ -1 & +1 \\ +1 & -1 \\ +1 & +1 \\ -\sqrt{2} & 0 \\ +\sqrt{2} & 0 \\ 0 & -\sqrt{2} \\ 0 & +\sqrt{2} \\ -a & -a \\ -a & +a \\ +a & -a \\ +a & +a \end{bmatrix}, \quad (1.8)$$

მესამე რიგის სამცვლადიან კომპოზიციურ როტატაბელურ გეგმებში თავდაპირველად რეალიზდება გეგმის ის ნაწილი, რომლის ექსპერიმენტული მონაცემებით საკვლევ სისტემა შეიძლება აღიწეროს მეორე რიგის პოლინომით და მხოლოდ მისი არაადეკვატურობის შემთხვევაში ემატება გეგმის მეორე ნაწილი და ორივე ნაწილის მონაცემებით სისტემა აღიწერება მესამე რიგის პოლინომით. დამტკიცებულია, რომ მესამე რიგის როტატაბელური გეგმების ყველა წერტილი, ცენტრალურის გამოკლებით, ქმნის სულ მცირე ორ სფეროსებრ დაშორებას სხვადასხვა არანულოვანი რადიუსებით. ასეთი სფეროსებრი დაშორებების სახით შეიძლება მივიღოთ მეორე რიგის როტატაბელური გეგმები.

ქვემოთ მოცემულია მეორე რიგის როტატაბელური გეგმები სამი ცვლადისათვის, რომლებიც გამოიყენება მესამე რიგის როტატაბელური გეგმების აგების დროს.

<b>D<sub>1</sub></b>	<b>D<sub>2</sub></b>	<b>D<sub>3</sub></b>
(±a, ±a, ±a)	(±a <sub>1</sub> , ±a <sub>1</sub> , ±a <sub>1</sub> )	(±f, ±f, 0)
(±c <sub>1</sub> , 0, 0)	(±a <sub>2</sub> , ±a <sub>2</sub> , ±a <sub>2</sub> )	(±f, 0, ±f)
(0, ±c <sub>1</sub> , 0)	(±c, 0, 0)	(0, ±f, ±f)
(0, 0, ±c <sub>1</sub> )	(0, ±c, 0)	(±c <sub>1</sub> , 0, 0)
(±c <sub>2</sub> , 0, 0)	(0, 0, ±c)	(0, ±c <sub>1</sub> , 0)
(0, ±c <sub>2</sub> , 0)		(0, 0, ±c <sub>1</sub> )
(0, 0, ±c <sub>2</sub> )		(±c <sub>2</sub> , 0, 0)
		(0, ±c <sub>2</sub> , 0)
		(0, 0, ±c <sub>2</sub> )
<b>D<sub>4</sub></b>	<b>D<sub>5</sub></b>	<b>D<sub>6</sub></b>
(±f, ±f, 0)	(±p, ±q, ±q)	(±p, ±q, ±q)
(±f, 0, ±f)	(±q, ±p, ±q)	(±q, ±p, ±q)
(0, ±f, ±f)	(±q, ±q, ±p)	(±q, ±q, ±p)
(±a, ±a, ±a)	(±a, ±a, ±a)	(±c, 0, 0)
(±c, 0, 0)		(0, ±c, 0)
(0, ±c, 0)		(0, 0, ±c)
(0, 0, ±c)		

სამგანზომილებიან ვარიანტში ცნობილია მესამე რიგის რამდენიმე როტატაბელური გეგმა, რომლებიც მიიღება მეორე რიგის როტატაბელური განლაგებების კომბინირებით:

<b>I</b>	<b>D<sub>1</sub></b> <b>D<sub>4</sub></b>	a=1, c <sub>1</sub> =c <sub>2</sub> =2 <sup>1/2</sup> f=2 <sup>1/2</sup> , a=1, c=2	<b>II</b>	<b>D<sub>2</sub></b> <b>D<sub>3</sub></b>	a <sub>1</sub> =a <sub>2</sub> =1, c=2 c <sub>1</sub> =c <sub>2</sub> =f=2 <sup>1/2</sup>
<b>III</b>	<b>D<sub>2</sub></b> <b>D<sub>4</sub></b>	a <sub>1</sub> =0.5578, a <sub>2</sub> =0.4097, c=1 f=0.7201, a=0, c=0.8564	<b>IV</b>	<b>D<sub>3</sub></b> <b>D<sub>4</sub></b>	f=c <sub>1</sub> =c <sub>2</sub> =1 f=0.9357, a=0.8646, c=1.5653
<b>V</b>	<b>D<sub>3</sub></b> <b>D<sub>5</sub></b>	f=c <sub>1</sub> =c <sub>2</sub> =1 p=1.4078, q=0.5112, a=0.7832	<b>VI</b>	<b>D<sub>3</sub></b> <b>D<sub>5</sub></b>	f=c <sub>1</sub> =c <sub>2</sub> =1 p=1.5205, q=a=0.5980
<b>VII</b>	<b>D<sub>3</sub></b> <b>D<sub>5</sub></b>	f=1, c <sub>1</sub> =2 <sup>1/2</sup> , c <sub>2</sub> =0 p=1.5167, q=0.6037, a=0.5042	<b>VIII</b>	<b>D<sub>3</sub></b> <b>D<sub>6</sub></b>	f=c <sub>1</sub> =c <sub>2</sub> =1 p=0.9848, q=0.5748, c=1.4453

ასეთი გეგმების მონაცემებით შეგვიძლია შევაფასოთ შესაბამისი მესამე რიგის პოლინომის ოცი კოეფიციენტი

$$\hat{y} = b_0 + b_1\tilde{x}_1 + b_2\tilde{x}_2 + b_3\tilde{x}_3 + b_{12}\tilde{x}_1\tilde{x}_2 + b_{13}\tilde{x}_1\tilde{x}_3 + b_{23}\tilde{x}_2\tilde{x}_3 + b_{11}\tilde{x}_1^2 + b_{22}\tilde{x}_2^2 + b_{33}\tilde{x}_3^2 + b_{111}\tilde{x}_1^3 + b_{222}\tilde{x}_2^3 + b_{333}\tilde{x}_3^3 + b_{112}\tilde{x}_1^2\tilde{x}_2 + b_{122}\tilde{x}_1\tilde{x}_2^2 + b_{133}\tilde{x}_1\tilde{x}_3^2 + b_{113}\tilde{x}_1^2\tilde{x}_3 + b_{223}\tilde{x}_2^2\tilde{x}_3 + b_{233}\tilde{x}_2\tilde{x}_3^2 + b_{123}\tilde{x}_1\tilde{x}_2\tilde{x}_3. \quad (1.9)$$

ნაშრომში განხილული მეორე და მესამე რიგის კომპოზიციური რატაბელური გეგმების ოპტიმალურობის კრიტერიუმები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

პირველ ჯგუფს განეკუთვნება კრიტერიუმები, რომლებიც დაკავშირებულია რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების შეფასებების სიზუსტესთან. მათ მიეკუთვნება გეგმების ისეთი თვისებები, როგორცაა მათი ორთოგონალურობა, *D*-, *A*-, *E*-ოპტიმალურობა და სხვა. ამ კრიტერიუმებს შეიძლება მიეცეთ გეომეტრიული ინტერპრეტაცია  $b_0, b_1, \dots, b_k$  და ა.შ. კოეფიციენტების სივრცეში. რეგრესიის განტოლება

$$\eta = \beta_0 + \sum_{1 \leq i \leq k} \beta_i \tilde{x}_i + \sum_{1 \leq i < j \leq k} \beta_{ij} \tilde{x}_i \tilde{x}_j \quad (1.10)$$

ამ კოეფიციენტების შეფასებები, როგორც ცნობილია, წარმოადგენენ შემთხვევით სიდიდეებს, ამიტომ გააჩნიათ გაბნევა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს შეფასებების გაბნევის ელიფსოიდით. ელიფსოიდის ორიენტაცია, ფორმა და მოცულობა მთლიანად განისაზღვრება ექსპერიმენტის ამორჩეული გეგმით, უფრო ზუსტად კი ინფორმაციული ან კოვარიაციული მატრიცების აგებით. განვიხილოთ ამ ჯგუფის ზოგიერთი კრიტერიუმი.

*D-ოპტიმალურობა.* *D*-ოპტიმალურია (იწარმოება ინგლისური სიტყვიდან *determinant*, რაც ნიშნავს მსაზღვრელს) გეგმა, თუ მას შეესაბამება კოვარიაციული მატრიცის  $\mathbf{M}^{-1}(\boldsymbol{\varepsilon})$  მინიმალური მსაზღვრელი, ანუ, რაც იგივეა, ინფორმაციული მატრიცის  $\mathbf{M}(\boldsymbol{\varepsilon})$ -ის მაქსიმალური მსაზღვრელი. კოვარიაციული მატრიცის მსაზღვრელი პროპორციულია გაბნევის ელიფსოიდის მოცულობისა. შესაბამისად, *D*-ოპტიმალური გეგმა ამინიმიზირებს კოეფიციენტების შეფასებების გაბნევის ელიფსოიდის მოცულობას. ოპტიმალურობის ამ კრიტერიუმს მიეძღვნა სამუშაოების საკმაოდ დიდი რაოდენობა [41-58].

*A-ოპტიმალურობა.* *A*-ოპტიმალურია (იწარმოება ინგლისური სიტყვიდან *average variance*, ანუ საშუალო დისპერსია) გეგმა, თუ მას შეესაბამება კოვარიაციული მატრიცის კვალის  $Tr(\mathbf{M}^{-1}(\boldsymbol{\varepsilon}))$  მინიმალური მნიშვნელობა (ანუ დიაგონალური ელემენტების ჯამი). გამომდინარე იქიდან, რომ კოვარიაცი-

ული მატრიცის დიაგონალებზე განლაგებულია კოეფიციენტების შეფასებების დისპერსიები,  $A$ -ოპტიმალურობა უზრუნველყოფს ამ შეფასებების დისპერსიების ჯამის მინიმუმს მათი კოვარიაციის გათვალისწინების გარეშე, ანუ საშუალებას იძლევა ვიპოვოთ უცნობი კოეფიციენტების შეფასებები მინიმალური საშუალო დისპერსიით. ამასთან გაბნევის ელიფსოიდს გააჩნია ღერძების სიგრძეების კვადრატების მინიმალური ჯამი და აქვს მართკუთხედის დიაგონალის უმცირესი სიგრძე, რომელიც აღიწერება ელიფსოიდის გვერდით [59, 60, 61, 62].

*E-ოპტიმალურობა.*  $E$ -ოპტიმალურია გეგმა (ინგლისური სიტყვიდან *eigen value*, ანუ საკუთარი მნიშვნელობა), თუ მას შეესაბამება კოვარიაციული მატრიცის  $\mathbf{M}^{-1}(\boldsymbol{\epsilon})$  უმცირესი მაქსიმალური საკუთარი მნიშვნელობა (მახასიათებელი რიცხვი)

$$\min_{\boldsymbol{\epsilon}} \max_i \lambda_i[\mathbf{M}^{-1}(\boldsymbol{\epsilon})],$$

ანუ, რაც იგივეა, ინფორმაციული მატრიცის  $\mathbf{M}(\boldsymbol{\epsilon})$  მაქსიმალურად მინიმალური საკუთარი რიცხვი.  $E$ -ოპტიმალური გეგმა ამინიმიზირებს შეფასებების კოეფიციენტების გაბნევის ელიფსოიდის მაქსიმალური ღერძის სიგრძეს. ე.ი. არ აძლევს ელიფსოიდს საშუალებას, რომ მიიღოს ზომაზე მეტად გაწელილი ფორმა. სტატიკური თვალსაზრისით ეს კრიტერიუმი ზღუდავს კოეფიციენტების ცალკეული შეფასებების დისპერსიებს და კოვარიაციებს [63-65].

*ორთოგონალურობა.* გეგმა ორთოგონალურია, თუ მას შეესაბამება დიაგონალური კოვარიაციული მატრიცა  $\mathbf{M}^{-1}(\boldsymbol{\epsilon})$  (ან დიაგონალური ინფორმაციული მატრიცა  $\mathbf{M}(\boldsymbol{\epsilon})$ ). ორთოგონალური გეგმებისათვის კოეფიციენტების ყველა შეფასება არაკორელირებულია. რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა საშუალებას იძლევა გავამარტივოთ ან გავართულოთ მოდელი ახალი კოეფიციენტების დამატებით ან ძველის გამოკლებით. ექსპერიმენტის რეზულტატების დამუშავებისას, რომელიც ოპტიმალურია ამ კრიტერიუმით, საჭიროა გამოთვლების მინიმალური რაოდენობა. გაბნევის ელიფსოიდი ისეა ორიენტირებული,



რომ მისი ძირითადი ღერძების მიმართულება ემთხვევა საკოორდინატო ღერძების მიმართულებას კოეფიციენტების სივრცეში [66].

მეორე ჯგუფის ოპტიმალურობის კრიტერიუმები მოდელის აგების (1.3 ან 1.9) მეშვეობით განსაზღვრავენ გამოძახილის მნიშვნელობების წინასწარმეტყველების სიზუსტეს. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება გეგმის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: როტატაბელურობა, უნიფორმალურობა,  $G$ -და  $Q$ -ოპტიმალურობა, ექსტრემუმის კოორდინატების შეფასების მაქსიმალური სიზუსტე და ა.შ.

განვიხილოთ მეორე ჯგუფის ზოგიერთი კრიტერიუმი.

*G-ოპტიმალურობა.*  $G$  ოპტიმალურია გეგმა (იწარმოება ინგლისური სიტყვიდან *general variance* - საერთო დისპერსია), თუ ის ამინიმიზირებს ჩვენთვის საინტერესო არეში  $\mathbf{z}$  რეგრესიული განტოლების წინასწარმეტყველების მაქსიმალურად შესაძლო დისპერსიას.

$$\max_{\mathbf{z}} d(\mathbf{x}, \hat{\mathbf{x}}) = \min_{\mathbf{z}} \max_{\mathbf{z}} d(\mathbf{x}, \mathbf{z}),$$

სადაც

$$d(\mathbf{x}, \mathbf{z}) = \mathbf{f}^T(\mathbf{x})\mathbf{A}^{-1}(\mathbf{z})\mathbf{f}(\mathbf{x})$$

ამ კრიტერიუმის გამოყენებით ექსპერიმენტატორი უზრუნველყოფილია წერტილებით, რომელთაც გააჩნიათ გამოძახილის ფუნქციის შეფასების საკმაოდ დაბალი სიზუსტე [67-69].


*Q-ოპტიმალურობა.* გეგმა  $Q$  ოპტიმალურია, თუ ის ამინიმიზირებს რომელიმე  $\mathbf{z}$  არეში წინასწარმეტყველების საშუალო დისპერსიას [70]

$$\int_{\mathbf{z}} d(\mathbf{x}, \hat{\mathbf{x}})d\mathbf{x} = \min_{\mathbf{z}} \int_{\mathbf{z}} d(\mathbf{x}, \mathbf{z})d\mathbf{x} = \min_{\mathbf{z}} Q[\mathbf{A}^{-1}(\mathbf{z})].$$

კომპოზიციური გეგმების რეალიზაცია მოითხოვს გამოსაკვლევი ფაქტორების ზუსტი დონეების დაყენებას. დაყენება ხორციელდება საზომი საშუალებების გამოყენებით, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული ცდომილებები. ცდომილებების ზედდების შედეგად თეორიული გეგმები პრაქტიკულად დეფორმირდება (ნახ. 1.3).

აქედან გამომდინარე იცვლება როგორც ექსპერიმენტის გეგმა, ასევე დაგეგმვის მატრიცა, ინფორმაციული და კოვარიაციული მატრიცები, შესა-

ბამისად გეგმის მახასიათებლები, როგორცაა  $D$ -,  $A$ -,  $E$ -,  $G$ -,  $Q$ -ოპტიმალურობები, ორთოგონალობა და სხვ [71-76].



ნახ.1.3. არადეფორმირებულ (ა) და დეფორმირებულ (ბ) გეგმებში პირველი რიგის გეგმის წერტილების კოორდინატები

რაც უფრო მეტია გაზომვის საშუალებების ცდომილებები გამო-საკვლევი ფაქტორების დონეების დაყენებისას, მით უფრო მეტად ირღვევა ოპტიმალურობის მახასიათებლები. ამიტომ გარკვეულ ინტერესს ბადებს გეგმის ამა თუ იმ თვისებებზე გაზომვის საშუალებების ცდომილებების გავლენის გამოკვლევა.


## თ ა ვ ი 2. ექსპერიმენტის შეცდომის არსებობის შემთხვევაში მესამე რიგის ორცვლადიანი როტატაბელური გეგმების თვისებების გამოკვლევა

### 2.1. ორცვლადიანი მესამე რიგის კომპოზიციური სიმეტრიული, როტატაბელურთან მიახლოებული გეგმების გამოკვლევა

რეალობაში გეგმების ოპტიმალურობის მახასიათებლები მახინჯდება. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ოპტიმალური გეგმების რეალიზაცია საჭიროებს გამოსაკვლევ ფაქტორების ზუსტი დონეების დაყენებას, დაყენება კი ხორციელდება საზომი საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული ცდომილებებით. რაც უფრო დიდია საზომი საშუალებების ცდომილებები, რომლებიც გამოიყენება საკვლევ ფაქტორების დონეების დასაყენებლად, მით მეტია გეგმების დამახინჯება და მით უფრო მეტად ირღვევა ოპტიმალურობის მახასიათებლები.

ორი ცვლადის შემცველი მესამე რიგის სიმეტრიული კომპოზიციური გეგმების გამოკვლევას ექსპერიმენტის შეცდომების გათვალისწინებით ხორციელდებოდა საზომი საშუალებების ცდომილებების გავლენის იმიტაცია. ეს მიიღწეოდა გეგმის წერტილების კოორდინატებზე შემთხვევითი რიცხვების ზედდებით, რომლებიც განაწილებული იყვნენ ნორმალური კანონით. ასეთი რიცხვების ფორმირება ხდებოდა შემთხვევითი რიცხვების სტანდარტული პროგრამის მეშვეობით, რომელსაც გააჩნდა ნულოვანი საშუალო არითმეტიკული და  $\sigma=0.33$  საშუალო კვადრატული გადახრა, მათი 100-ზე გაყოფით მიიღებოდა 1%-იანი ცდომილებების ეკვივალენტი, ხოლო სხვადასხვა ცდომილებების იმიტაციისათვის 1%-იანი ეკვივალენტი მრავლდებოდა  $\psi$ -ზე:  $\xi = \psi \frac{\varepsilon}{100}$ .

მრავალჯერადი გენერირების შედეგად, არადეფორმირებული გეგმის თითოეული წერტილის გარშემო მიიღებოდა წერტილების ღრუბელი (ნახ.2.1), საიდანაც შეიძლება წარმოქმნილიყო დეფორმირებული გეგმის ნებისმიერი კონფიგურაცია.



ნახ. 2.1. ორცვლადიანი მესამე რიგის მრავალდეფორმირებული სიმეტრიული კომპოზიციური გეგმების გრაფიკული ილუსტრაცია

საზომი საშუალებების ცდომილებების გამო მესამე რიგის სიმეტრიული გეგმის კოორდინატები იცვლება შემდეგნაირად:

$$D = \begin{bmatrix} \tilde{x}_1 & \tilde{x}_2 \\ -1+\xi & -1+\xi \\ -1+\xi & +1+\xi \\ +1+\xi & -1+\xi \\ +1+\xi & +1+\xi \\ -\sqrt{2}+\xi & 0+\xi \\ +\sqrt{2}+\xi & 0+\xi \\ 0+\xi & -\sqrt{2}+\xi \\ 0+\xi & +\sqrt{2}+\xi \\ -a+\xi & -a+\xi \\ -a+\xi & +a+\xi \\ +a+\xi & -a+\xi \\ +a+\xi & +a+\xi \\ -\sqrt{2}a+\xi & 0+\xi \\ +\sqrt{2}a+\xi & 0+\xi \\ 0+\xi & -\sqrt{2}a+\xi \\ 0+\xi & +\sqrt{2}a+\xi \end{bmatrix}. \quad (2.1)$$

შესაბამისად იცვლება გეგმების დაგეგმვის და თვისებების მატრიცაც.

ასეთი სახით გენერირებული გეგმებისათვის, კვადრატის სხვადასხვა ზომებით  $a=0.5$  და  $1.5$ , განისაზღვრებოდა ყველა გამოსაკვლევი კრიტერიუმის მნიშვნელობების შესაბამისი სიმრავლეები და ყოველი მათგანისათვის არსებული სხვადასხვა ცდომილებების არსებობისას გამოყოფოდა მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, რომლებიც ქმნიდნენ დერეფანს. ყველა კვლევა ტარდებოდა საზომი საშუალებების ცდომილებებისათვის 0.01%-დან 10%-მდე.

2.1.1. სიმეტრიული გეგმების თვისებების გამოკვლევა, რომლებიც დაკავშირებულია რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების შეფასების სიზუსტესთან

**D-ოპტიმალურობა.** *D-ოპტიმალურთან* მიახლოებული მესამე რიგის ორცვლადიანი სიმეტრიული კომპოზიციური გეგმის კვლევისას გეგმის დამახინჯება მიიღწეოდა თითოეულ მის ელემენტზე შემთხვევითი სიდიდის დამატებით. დამახინჯება შეესაბამებოდა 0.01-0.09%-ს (პირველ დიაპაზონში), 0.1-0.9%-ს (მეორე დიაპაზონში) და 1-10%-ს (მესამე დიაპაზონში).


მიმართვა ხორციელდებოდა შემთხვევით რიცხვებთან ასჯერ. ასი მიღებული მნიშვნელობიდან აირჩეოდა მინიმალური და მაქსიმალური, რის მიხედვითაც იგებოდა შეცდომების დერეფანი. იმის გამო, რომ რიცხვების გენერირება ყოველ ჯერზე ხდებოდა შემთხვევითი სახით, ზოგიერთ ქვემომოყვანილ ცხრილში ცდომილების ზოგიერთი მნიშვნელობისათვის შეინიშნება მცირედი "ამოვარდნები", თუმცა ეს გავლენას ვერ ახდენს ცდომილებების გაზრდით გეგმის თვისებების გაუარესების საერთო ტენდენციაზე.

ნახ. 2.2-ზე წარმოდგენილია  $M=(\tilde{X}^T\tilde{X})^{-1}$  შეცდომების მატრიცის მსაზღვრელის ცვლილებების გრაფიკული შედეგები, რომლებიც მიიღება სხვადასხვა სიდიდის  $k$  ცდომილებების ზედდებით სამი ცვლადის შემცველი მესამე რიგის როტატაბელურ გეგმებთან მიახლოებულ სიმეტრიულ გეგმებზე, კვადრატის ზომებით  $a=0.5$ .

ცხრილებში მოყვანილია საშუალო არითმეტიკული – დერეფნის საშუალო ხაზი და გაბნევა – საშუალო კვადრატული გადახრა, ასევე  $a$  კვადრატის სხვადასხვა ზომებისათვის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები.

როგორც ნახაზიდან ჩანს, ცდომილებების გაზრდით იზრდება აგრეთვე შეცდომების დერეფანი.

ცხრილის მონაცემების შესაბამისად *D-ოპტიმალურობა*, როცა კვადრატის ზომაა  $a=0.5$  ცდომილებების ზედდებით 0.01%-დან 0.1%-მდე უარესდება 0.17%-ით, ცდომილების ცვლილებისას 1%-მდე ოპტიმალურობა უარესდება 2.10%-მდე, ხოლო 5%-იანი ზრდით ეს მაჩვენებელი ადის 12.30%-მდე.



ნახ. 2.2. მესამე რიგის თექვსმეტწერტილიანი გეგმის  $D$ -ოპტიმალურობა, როცა  $a=0.5$

ცხრილი 2.1

თექვსმეტწერტილიანი გეგმის კოვარიაციული მატრიცის მინიმალური მსაზღვრელის ცვლილება სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას ( $a=0.5$ )

ცდომილება $k, \%$	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
<b>1.0e-007 *</b>				
0.01	0.71802694	0.72060557	0.71911891	0.00059675
0.02	0.71536169	0.72236580	0.71893891	0.00139745
0.03	0.71340667	0.72504802	0.71905013	0.00199676
0.04	0.71438374	0.72522383	0.71930441	0.00243920
0.05	0.71030007	0.72718675	0.71885692	0.00360990
0.06	0.70751769	0.72749343	0.71941315	0.00417481
0.07	0.70732366	0.73168621	0.71960600	0.00497661
0.08	0.70355729	0.73353301	0.71932484	0.00579081
0.09	0.70259532	0.73215104	0.71952919	0.00556949
<b>1.0e-007 *</b>				
0.1	0.70934906	0.73524918	0.72023217	0.00597926
0.2	0.68347635	0.75343059	0.71854755	0.01395743
0.3	0.66506652	0.78190926	0.71980731	0.01998496
0.4	0.67424619	0.78381258	0.72250601	0.02465706
0.5	0.63693534	0.80537069	0.71849896	0.03596578
0.6	0.61246533	0.80900417	0.72440618	0.04159375
0.7	0.61095680	0.85693403	0.72691653	0.05039475
0.8	0.57978304	0.87905259	0.72466676	0.05817766
0.9	0.57169237	0.86293379	0.72665429	0.05561160
<b>1.0e-007 *</b>				
1.0	0.62865349	0.90102357	0.73420701	0.06126639
2.0	0.43499122	1.15382747	0.72879931	0.14180630
3.0	0.33324339	1.67866223	0.75711476	0.21546444
<b>1.0e-007 *</b>				
4.0	0.38281554	1.72901476	0.80508396	0.29566435
5.0	0.22549303	2.27487078	0.80755434	0.41290296
<b>1.0e-007 *</b>				
10	0.20502346	8.19133048	1.28976532	1.23469330


თექვსმეტწერტილიანი გეგმის კოვარიაციული მატრიცის მინიმალური მსაზღვრელის ცვლილება სხვადასხვა ცდომილებების ზედღებისას ( $a=1.5$ )

ცდომილება $k, \%$	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
	<b>1.0e-014 *</b>			
0.01	0.85287409	0.85605283	0.85472082	0.00065582
0.02	0.85090650	0.85833348	0.85476996	0.00121158
0.03	0.85087944	0.86038647	0.85468667	0.00177757
0.04	0.84855879	0.86163074	0.85473810	0.00247385
0.05	0.84642662	0.86340772	0.85446186	0.00302084
0.06	0.84397824	0.86639373	0.85493118	0.00394425
0.07	0.84533163	0.86482556	0.85398090	0.00400439
0.08	0.84464694	0.86487636	0.85475633	0.00454760
0.09	0.84156999	0.86878097	0.85485321	0.00528478
	<b>1.0e-014 *</b>			
0.1	0.83711687	0.86884602	0.85543936	0.00656024
0.2	0.81802706	0.89229559	0.85598796	0.01212359
0.3	0.81778275	0.91387907	0.85524560	0.01785497
0.4	0.79574462	0.92722947	0.85593070	0.02474721
	<b>1.0e-014 *</b>			
0.5	0.77593564	0.94683320	0.85332274	0.03028105
0.6	0.75432193	0.98023294	0.85839958	0.03981692
0.7	0.76621448	0.96218821	0.84889949	0.04000669
0.8	0.76001945	0.96234164	0.85688222	0.04579063
0.9	0.73288960	1.00704565	0.85829204	0.05333663
	<b>1.0e-014 *</b>			
1.0	0.69512163	1.00843644	0.86504845	0.06607788
2.0	0.55341719	1.31940991	0.87635587	0.12426525
3.0	0.55279473	1.67699014	0.87860899	0.19378999
4.0	0.42069681	1.95206729	0.90257233	0.26468781
5.0	0.32557921	2.48437115	0.89359219	0.34384002
	<b>1.0e-014 *</b>			
10	0.11438033	4.66625877	1.26540704	1.01627752

$a=1.5$  კვადრატის ზომისათვის  $D$ -ოპტიმალურობის თვისება ცდომილებების გაზრდისას იზრდება. 0.01%-დან 0.1%-მდე ზრდით ოპტიმალურობა უარესდება 0.08%-ით, ცდომილების ცვლილებისას 1%-მდე – ოპტიმალურობა უარესდება 1.21%-მდე, ხოლო 5%-იანი ცვლილებისას გაუარესება აღწევს 4.55%-ს.

A-ოპტიმალურობა. ნახ. 2.3-ზე ნაჩვენებია შეცდომების დერეფნის გრაფიკული ილუსტრაცია კვადრატის ზომისათვის  $a=0.5$ , რომელიც მიიღებოდა ორცვლადიანი მესამე რიგის როტატაბელურ გეგმასთან მაქ-

სიმალურად მიახლოებული სიმეტრიული კოვარიაციული მატრიცის  $M=(\tilde{X}^T\tilde{X})^{-1}$  კვალის კვლევისას.



ნახ. 2.3. მესამე რიგის თექვსმეტწერტილიანი გეგმის  $A$ -ოპტიმალურობა, როცა  $a=0.5$

როგორც ნახაზიდან ჩანს, ცდომილებების გაზრდით შეცდომების დერეფანი იზრდება. ცხრილ 2.3-ში მოყვანილია ზოგიერთი საკვლევი ცდომილებისათვის კოვარიაციული მატრიცის კვალის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები, ასევე მათი საშუალო არითმეტიკული და გაბნევა – საშუალო კვადრატული გადახრა.

ცხრილი 2.3

თექვსმეტწერტილიანი გეგმის კოვარიაციული მატრიცის კვალის ცვლილება სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას ( $a=0.5$ )

ცდომილება $k, \%$	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	4.34243481	4.34455062	4.34336082	0.00041833
0.02	4.34007028	4.34529980	4.34317490	0.00091737
0.03	4.34103692	4.34720769	4.34343065	0.00125050
0.04	4.33917757	4.34814122	4.34298935	0.00182036
0.05	4.33787218	4.34773394	4.34301675	0.00198442
0.06	4.33730963	4.35039590	4.34343106	0.00248712
0.07	4.33638629	4.35082397	4.34341820	0.00293739
0.08	4.33574514	4.35076620	4.34320728	0.00340062
0.09	4.33144627	4.35515253	4.34377310	0.00408479
0.1	4.33448493	4.35561907	4.34370269	0.00418162
0.2	4.31112243	4.36319910	4.34193506	0.00916742
0.3	4.32086562	4.38257807	4.34461252	0.01253800
0.4	4.30243428	4.39208890	4.34039431	0.01818845
0.5	4.28968896	4.38828300	4.34095712	0.01980423
0.6	4.28532125	4.41544736	4.34539199	0.02494987
0.7	4.27539867	4.42041021	4.34558651	0.02947873
0.8	4.26962772	4.41917124	4.34384595	0.03410185
0.9	4.22869345	4.46896634	4.35018299	0.04100233



2.3 ცხრილის გაგრძელება

ცდომილება <i>k</i> , %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
1.0	4.28375667	4.44920389	4.35343661	0.03577248
2.0	4.11864526	4.58391499	4.35400913	0.08520863
3.0	4.04926792	4.70699895	4.37454611	0.12273719
4.0	4.06452353	4.97062112	4.39782619	0.16840444
5.0	3.91148689	5.06666493	4.39888317	0.21359376
10	4.02903620	6.24679824	4.75895344	0.44199845

ცდომილებების ცვლილებისას 0.01%-0.1% დიაპაზონში განსახილველი გეგმისათვის თვისებების ცვლილება არ არის დიდი. ამ შემთხვევაში *A*-ოპტიმალურობის თვისება უარესდება მხოლოდ 0.008%-ით, ცდომილების ცვლილებისას 1%-მდე – ოპტიმალურობა უარესდება 0.23%-მდე, ხოლო 5%-იანი ცვლილებისას გაუარესება აღწევს 1.28%-ს.

2.4 ცხრილში მოყვანილია  $a=1.5$  კვადრატისათვის რიცხვითი მნიშვნელობები, რომლებიც მიიღებოდა ორცვლადიანი სიმეტრიული კომპოზიციური როტატაბელურ გეგმებთან მიახლოებული *A*-ოპტიმალურობის თვისების კვლევისას.

ცხრილი 2.4

თექვსმეტწერტილიანი გეგმის კოვარიაციული მატრიცის კვალის ცვლილება სხვადასხვა ცდომილებების ზედდებისას ( $a=1.5$ )

ცდომილება <i>k</i> , %	min	max	საშუალო არითმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
0.01	1.67363775	1.67429371	1.67395779	0.00014350
0.02	1.67310113	1.67473183	1.67396687	0.00032879
0.03	1.67268227	1.67510540	1.67392874	0.00047396
0.04	1.67241716	1.67597223	1.67392593	0.00063616
0.05	1.67229909	1.67557907	1.67398829	0.00075771
0.06	1.67100282	1.67650877	1.67391049	0.00095083
0.07	1.67183451	1.67636544	1.67404062	0.00088267
0.08	1.67114921	1.67680643	1.67413727	0.00102307
0.09	1.66967860	1.67722544	1.67418197	0.00144497
0.1	1.66998920	1.67712909	1.67399693	0.00152586
0.2	1.66665564	1.68119674	1.67433076	0.00270394
0.3	1.66352906	1.68549100	1.67401841	0.00438080
0.4	1.65813337	1.68671471	1.67388279	0.00550862
0.5	1.65927559	1.69822565	1.67395430	0.00690925
0.6	1.64694202	1.70363709	1.67423586	0.00910561
0.7	1.65035484	1.70049593	1.67222215	0.00958012
0.8	1.65073518	1.69903968	1.67424565	0.01118713
0.9	1.64197020	1.70230048	1.67424495	0.01237523


2.4 ცხრილის გაგრძელება

ცდომილება $k, \%$	min	max	საშუალო არიტმეტიკული	საშუალო კვადრატული გადახრა
1.0	1.63576482	1.70659203	1.67489769	0.01528840
2.0	1.60612808	1.75072816	1.67982361	0.02705034
3.0	1.58153546	1.80059275	1.67894676	0.04423085
4.0	1.52980636	1.83020515	1.68133631	0.05541984
5.0	1.54729634	1.97556595	1.68687133	0.07232157
10	1.39438515	2.28604220	1.74636920	0.17389532

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ განსახილველ დიაპაზონში ცდომილებებისათვის 0.01-0.09%,  $A$ -ოპტიმალურობის თვისება უარესდება 0.014%-ით, მეორე დიაპაზონში, როცა ცდომილებები აღწევს 0.1-0.9%-ს, უარესდება 0.015%-ით, ხოლო მესამე დიაპაზონში 1%-5%-იანი ცდომილებებისათვის უარესდება 0.72%-ით.

$E$ -ოპტიმალურობა. როტატაბელურ სიმეტრიულ გეგმებთან მიახლოებულ  $E$ -ოპტიმალურობაზე ცდომილებების გავლენის კვლევისას შეცდომების დერეფანი მიიღებოდა შემდეგნაირად: ყველა საკვლევი ცდომილებისათვის ვახდენდით გეგმის გენერირებას 100-ჯერ შემთხვევითი სახით და თითოეულისთვის უმცირესი მაქსიმალური საკუთარი რიცხვიდან  $\lambda$  (მახასიათებელი რიცხვი) ვირჩევდით მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს.

